სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/91

ქ. თბილისი

14 ივნისი 2024 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“ დაჯილდოებების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №205 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის შესაბამისად, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის №15 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“ დაჯილდოებების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის №205 დადგენილების მე-2 პუნქტი გიორგი ქვარცხავას დაჯილდოებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის ნაწილში და გაუქმდეს მისი ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**